



შპს ორიენტირი

პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის  
განმახორციელებელი პირების  
გზამკვლევი

თბილისი

2019

## პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პირები

შპს ორიენტირის მიერ განხორციელებული პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელი და პრაქტიკის ხელმძღვანელი



პროფესიული განათლების მასწავლებელი (შემდგომში მასწავლებელი) და პრაქტიკის ხელმძღვანელი შიძლება იყოს პირი, რომელიც უშუალოდ ჩართულია ორიენტირის მიერ განხორციელებული პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას/ადაპტაციასა და განხორციელებაში

პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პრაქტიკის ხელმძღვანელთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მოთხოვნები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად.

პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელი საკუთარი კომპეტენციების შესაბამისად წარმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიულ ნაწილით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესს.

პროფესიული განათლების მასწავლებელი და პრაქტიკის ხელმძღვანელი ვალდებული არიან შეადგინონ ან/და მოახდინონ ადაპტაცია პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სილაბუსის ან/და მოდულის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობისა და ორიენტირის შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით.

პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პრაქტიკის ხელმძღვანელის საქმიანობის ადგილი - სამუშაო სივრცე განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის მიხედვით ორიენტირის ტერიტორიაზე ან/და პრაქტიკის ობიექტზე.

## პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პირების შერჩევის წესი

პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პრაქტიკის ხელმძღვანელთა შერჩევა ხორციელდება როგორც პირდაპირი შერჩევის წესით, ასევე ღია კონკურსით ორიენტირის დირექტორის გადაწყვეტილებით, რომელიც ფორმდება შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის გზით.

ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ორიენტირის დირექტორის ბრძანებით დეტალურად განისაზღვრება საკონკურსო პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და კონკურსის წარმართვის ვადები.

პროფესიული განათლების მასწავლებელსა და პრაქტიკის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს ორიენტირის დირექტორი ბრძანების გამოცემის ან/და მასთან შრომითი ხელშეკრულების ან/და ნარდობის (მომსახურების) ხელშეკრულების გაფორმების გზით.



## შრომითი ურთიერთობა

შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით;

შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო;

დისკრიმინაციად ჩაითვლება პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პირების პირდაპირ და არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პირებისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელ პირებთან შედარებით;

დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელ პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კოლეჯის კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება;

შრომითი ურთიერთობისას პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელმა პირებმა

უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

### შრომითი ხელშეკრულების დადებისას (სამუშაოდ მიღებისას) წარსადგენი დოკუმენტები და პირობები

პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პირებთან სამართლებრივი ურთიერთობა და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს შრომის კანონმდებლობით, სხვა მოქმედი საკანონმდებლო აქტებით, მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების პარალელურად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პირების სამსახურში მიღებისას კოლეჯის დირექტორი ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით.

კოლეჯის დირექტორს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს ასეთ პირთან შრომითი ხელშეკრულება და დანიშნოს შესაბამის თანამდებობაზე ან გაანთავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან.

გამოსაცდელი ვადით პირი თანამდებობაზე ინიშნება არაუმეტეს ექვსი თვისა.

კოლეჯში შესაბამისი პოზიციის დასაკავებლად კოლეჯი უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

1. წერილობითი განცხადება;
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;



5. შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არსებობის შემთხვევაში).

### სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო

კოლეჯში სამუშაო დღეებია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, უქმე დღეები განისაზღვრება შრომის კანონმდებლობით. 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, კოლეჯში განხორციელებული სასწავლო პროცესის ერთი საკონტაქტო საათი მოიცავს 50 წუთს სასწავლო დროს და 10 წუთს შესვენების დროს.

კოლეჯის მიერ განსაზღვრული დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების და დასვენების დრო;



### სამუშაოზე დაგვიანება, გამოუცხადებლობა

სამუშაო დღის დაწყებისათვის კოლეჯის თანამშრომლის, 15 წუთით მეტი დროით დაგვიანება მიიჩნევა კოლეჯში დაგვიანებით გამოცხადებად. 15 წუთით მეტი დროით დაგვიანების შემთხვევაში კოლეჯის თანამშრომელი ვალდებულია დირექტორს ზეპირი, ან მოთხოვნის შემთხვევაში წერილობითი სახით წარმოადგინოს ახსნა-განმარტება სამსახურში დაგვიანების მიზეზების შესახებ. დაგვიანების შესახებ ახსნა-განმარტების საფუძველზე დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას თანამშრომლის დაგვიანების საპატიოდ ჩათვლა-არჩათვლის თაობაზე.

არასაპატიო მიზეზით სამსახურში დაგვიანება, სამსახურში გამოუცხადებლობა და სამუშაო დროის სხვაგვარი გაცდენა შეიძლება გახდეს კოლეჯის თანამშრომლის მიმართ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად დისციპლინარული ღონისძიებების გატარების საფუძველი.

### ზეგანაკვეთური სამუშაო

სამუშაო დროისგან განსხვავებული დროის განმავლობაში სამუშაოს შესრულება ჩაითვლება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ. ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისა და ანაზღაურების წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კოლეჯის ხელმძღვანელობასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ყოველი ინდივიდუალური სიტუაციის შეფასებიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.



### შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პირებისთვის ინდივიდუალურად მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ;

თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, კოლეჯის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენისას თანამშრომელს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით;



## შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები



შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;
- ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- გ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;
- დ) კოლეჯის თანამშრომელთა მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება;
- ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;
- ვ) კოლეჯის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან;
- ზ) კოლეჯის თანამშრომლის მიერ მისთვის შრომითი ხელშეკრულებით ან/და კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დაკისრებული ვალდებულების ზედიზედ სამჯერ ან მეტჯერ დარღვევათუ კოლეჯის თანამშრომლის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულ იქნა შრომითი ხელშეკრულებით ან/და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;
- თ) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, კოლეჯის თანამშრომელს გამოყენებული აქვს წინამდებარე შინაგანაწესით გათვალისწინებული შვებულება;
- ი) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;
- კ) სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ;
- ლ) გარდაცვალება;
- მ) კოლეჯის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება;
- ნ) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

## წახალისების ფორმები

დაკისრებული მოვალეობების სანიმუშოდ განხორციელებისათვის, კოლეჯის თანამშრომლების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას წახალისების შემდეგი ზომები:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება;
- გ) ადრე დადებული დისციპლინარული სასჯელის ვადამდე მოხსნა;
- დ) პრემიით დაჯილდოვება;
- ე) სახელმძღვანელოებისა და წიგნების გამოცემაში ხელშეწყობა;
- ვ) ხელფასის მომატება;
- ზ) სამსახურებრივი დაწინაურება.

## დისციპლინური პასუხისმგებლობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პირები ექვემდებარებიან დისციპლინარულ პასუხისმგებლობას დისციპლინარული გადაცდომისათვის.

დისციპლინარულ გადაცდომად ჩაითვლება პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პირების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე



შინაგანაწესის, კოლეჯის სხვა შიდა სამართლებრივი აქტების ან/და შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ბრალეული დარღვევა ან გაუფრთხილებელი შეუსრულებლობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პირების მიმართ დისციპლინარული გადაცდომისთვის შეიძლება გატარდეს შემდეგი სახის დისციპლინარული ხასიათის ღონისძიება:

- ა) გაუფრთხილების გამოცხადება;
- ბ) საყვედურის გამოცხადება;
- გ) სასტიკი საყვედურის გამოცხადება;
- დ) ხელფასის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავება;
- ე) დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება;

დისციპლინარული პასუხისმგებლობის ღონისძიების სახე განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის მიერ თითოეული კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ჩადენილ გადაცდომასთან და შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**შენიშვნა:** დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია კოლეჯის შინაგანაწესში (შინაგანაწესი განთავსებულია კოლეჯის ადმინისტრაციულ შენობაში საჯაროდ, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გასაცნობად და ასევე მოტივირებული შენიშვნების წარმოდგენისათვის), სასაწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში (აღნიშნული სამართლებრივი აქტები განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე: [collejeorientiri.edu.ge](http://collejeorientiri.edu.ge)).